სექსუალური შევიწროება

სექსუალური შევიწროება ფართო ტერმინია და შეიძლება სხვადასხვა ფორმით, სხვადასხვა სიტუაციასა და სხვადასხვა ან ერთი და იმავე სქესისა თუ გენდერული იდენტობის ადამიანებს შორის გამოვლინდეს.
იგი ხასიათდება ქცევათა და ქმედებათა მრავალფეროვნებით, ხშირად ის ფარულად მიმდიანრეობს. არასასურველი სექსუალური შევიწროების უარყოფითი გავლენა აღიარებულია.

ის ძლიერ გავლენას ახდენს მსხვერპლის ფიზიკურ და მენტალურ ჯანმრთელობაზე სექსუალური შევიწროება უკავშირდება ტრავმას, რომელთან გამკლავებაც მსხვერპლისათვის ძალიან რთულია. სექსუალური შევიწროების შემთხვევების გამოვლენის მაჩვენებელი დაბალია, რასაც საზოგადოებაში დამკვიდრებული გენდერული ნორმები, მსხვერპლის დადანაშაულების ტენდენცია და ვიქტიმიზაციის შიში განაპირობებს.

საქართველოში დღემდე არსებობს გენდერული სტერეოტიპები, რომელთა თანახმად, დასაქმების ადგილზე თუ სხვა გარემოში, არასასურველი მოპყრობის გამომწვევი თავად ქალია.

შესაბამისად, მსხვერპლს აქვს მოლოდინი, რომ მამაკაცის მხრიდან სექსუალური შევიწროების შემთხვევაში, შესაძლოა, საზოგადოებამ, ოჯახმა თუ კოლეგებმა ის საზოგადოებაში დამკვიდრებულ მორალურ პრინციპებთან შეუსაბამო ქცევაში დაადანაშაულონ

2019 წლიდან, საქართველოს კანონმდებლობით, სექსუალური შევიწროება წარმოადგენს დისკრი მინა ციის ერთერთ ფორმას, რომლის ჩადენაც სამოქალაქო სამართლებრივ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს, ასევე, იგი აღიარებულია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად.

დღესდღეობით, სექსუალური შევიწროების სამ ძირითად ფორმას გამოყოფენ, ესენია: **ვერბალური, არავერბალური და ფიზიკური,** თუმცა თითოეული ეს ფორმა პრაქტიკაში ქცევათა და ქმედებათა მრავალფეროვნებით ხასიათდება და მათი ამომწურავი ჩამონათვალი არც არსებობს. ამდენად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ინდივიდუალურად უნდა შეფასდეს, თუ რამდენად არის ესა თუ ის ქმედება არასასურველი სექსუალური შინაარსის მტარებელი.

ვერბალური სექსუალური შევიწროება შეიძლება იყოს:

- სექსუალური ხასიათის შეურაცხმყოფელი, დამაკნინებელი სიტყვები/ტერმინები; ფამილიარუ ლი, ცხოველის/ფრინველის სახელით მიმართვა. მაგალითად, „თოჯინა“, „პატარა“, „საყვარელო“, „ტკბილო“, „თაფლო“; „ჩიტუნა“, და ა.შ.;
- არასასურველი კომენტარები, კომპლიმენტები ან/და ხუმრობები გარეგნობის, სხეულის ან/და ჩაცმუ ლობის შესახებ მაგალითად, აქცენტის გაკეთება ქალის წონაზე, ტუჩებზე, მკერდზე, საჯდომზე ან/და სხეულის სხვა ნაწილზე მითითება; კანის ფერსა და სხეულის სუნის მიმზიდველობაზე ყურადღების გამახვილება.
- არაკორექტული შეკითხვები ან/და კომენტარები ადამიანის პირადი და ოჯახური52 თუ სექსუალური ცხოვრების თაობაზე.
- სექსუალური დატვირთის მქონე ეპითეტები და მეტაფორები, მაგალითად, ქალისა და მამაკაცის გენიტალიების, სექსუალური ურთიეთობების სხვა სიტყვებით გამოხატვა.
- სექსუალურ ფანტაზიებზე, გამოცდილებასა თუ შესაძლებლობებზე საუბარი.
- სექსუალური ურთიერთობის შეთავაზება ან/და ზეწოლა სექსუალური კავშირის დამყარების მიზ ნით.
- სექსუალური ცხოვრების შესახებ ჭორების გავრცელება.
- სექსუალური კონოტაციის შემცველი, განგრძობადად, არასასურველი დაპატიჟება პაემანზე.
- სექსუალურად ჩაცმის მოთხოვნა/მინიშნებები დასაქმებულისათვის.

არავერბალური სექსუალური შევიწროება შეიძლება იყოს:

- სექსუალური მზერა და ყურადღება.
- სტვენა; ხვნეშა.
- სექსუალური კონოტაციის მქონე ჟესტიკულაცია/სხეულის ენის გამოყენება, მათ შორის, თვალის ჩაკვრა, ტუჩების ლოკვა. გენიტალიების ჩვენება.
- პორნოგრაფიული მასალის დემონსტრაციული ყურება/ბეჭდვა. პორნოგრაფიული ან/და სექსუალური შინაარსის ფოტო/ვიდეო მასალის ტირაჟირება.
- პირადი სივრცის, მათ შორის, გამოსაცვლელი ოთახების ვიდეოკამერით თვალთვალი;
- სექსუალიზებული გარემოს შექმნა, მაგალითად, მაცდუნებელი მუსიკით, მცირე განათებით, სანთლებით, ბუხრით.
- სექსუალური შინაარსის მქონე არასასურველი წერილების, ლექსების, პოემების თუ სხვა მხატვრუ ლი მასალის გაგზავნა.

ფიზიკური სექსუალური შევიწროება

ფიზიკური სექსუალური შევიწროება ხასიათდება ფიზიკური შეხებით. ფიზიკურ შეხებაში იგულისხმება ნებისმიერი სექსუალური ხასიათის ქცევა, რომელიც მსხვერპლის სხეულზე არასასურველ შეხებას გულისხმობს.

ფიზიკური სექსუალური შევიწროების ყველაზე გავრცელებული ფორმებია:

- ჩქმეტა; ხელის წამორტყმა (slapping); კუთხეში მიმწყვდევა (cornering); ხახუნი (rubbing).
- ხელის გადახვევა ან/და ჩაკიდება; ჩახუტება; მოფერება; კოცნა/კოცნის მცდელობა.

- სხეულის ინტიმური ნაწილებით ან/და ნაწილებზე შეხება.
- სხეულის ინტიმურ ნაწილებზე არასაჭირო და არასასურველი მასაჟის გაკეთება.
- სხეულის ინტიმური ნაწილების არასაჭირო და არასასურველი სამედიცინო შემოწმება.
- იძულებით/შანტაჟით სექსუალური კავშირის დამყარება.

იმის მიხედვით, თუ რა სახით ვლინდება სექსუალური შევიწროება, შეიძლება გამოვყოთ „სერიოზული“ და „ნაკლებად სერიოზული“ ქმედებები. „სერიოზულს“ მიეკუთვნება ისეთი ქცევა, რომელიც ფიზიკურ შეხებას, კონტაქტს მოიცავს, მაგალითად, შეხება, კოცნა, მოფერება, ჩახუტება და სხვა; ხოლო „ნაკლებად სე რიოზულად“ შეიძლება მივიჩნიოთ ვერბალური და არავერბალური ფორმით გამოხატული ქცევა. მსგავსად დაჯგუფება, შედარებით მსუბუქი და მძიმე ფორმით გამოხატული ქმედების პროპორციულად პასუხისმგებლობის ზომის განსაზღვრას ემსახურება.

მითები სექსუალურ შევიწროებასთან დაკავშირებით



სამწუხაროდ, ჩვენს საზოგადოებაში არსებობს მითები სექსუალურ შევიწროებასთან დაკავშირებითაც.

მოდი, ჩამოვთვალოთ ზოგიერთი მათგანი:

მითი 1 - სექსუალური შევიწროება იშვიათად ხდება

ფაქტი: სექსუალური შევიწროება ფართოდაა გავრცელებული. პრობლემა ის არის, რომ სექსუალური შევიწროების შესახებ ძალზე მცირე რაოდენობის საჩივრები შეაქვთ ხოლმე. მსხვერპლს ხშირად ეშინია, რომ მომხდარში თავად დაადანაშაულებენ ან არ სჯერა, რომ მის საჩივარს სერიოზულად მოეკიდებიან.

მითი 2 - სექსუალური შევიწროების სერიოზულობა გაზვიადებულია, ის უმეტესად უბრალო და უვნებელი ფლირტია.

ფაქტი: სექსუალურ შევიწროებას შეიძლება დამანგრეველი შედეგები მოჰყვეს მსხვერპლებისთვის. მათ აღენიშნებათ ისეთი ფსიქოლოგიური სიმპტომები, როგორიცაა სისუსტე, საკუთარი თავის დადანაშაულება, უძილობა, სიბრაზე, დაძაბულობა და დეპრესია; ასევე, ისეთი სიმპტომები, როგორიცაა თავის ტკივილი, ზურგის ტკივილი, გულისრევა, მაღალი წნევა, წონის ცვლილება და დაღლილობა.

მითი 3 - თუ მოძალადე ამას წინასწარი განზრახვით არ აკეთებს, მაშინ ეს არ არის სექსუალური შევიწროება.

ფაქტი: სექსუალური შევიწროების დროს მთავარია რას და როგორ აღქვამს მსხვერპლი და არა მისი ჩამდენი. თუ ქმედებას რეგულარული ხასიათი აქვს, მსხვერპლის სურვილს ეწინააღმდეგება, შეურაცხყოფას აყენებს, ამცირებს ან აშინებს მას, ეს სექსუალური შევიწროებაა.

მითი 4 - ქალები, რომლებიც სექსუალური შევიწროების მსხვერპლნი ხდებიან, ხშირად თავად ახდენენ ამის პროვოცირებას გამოხედვით, ჩაცმულობითა თუ ქცევით.

ფაქტი: ქალებს აქვთ უფლება, ჩაიცვან და იმოქმედონ ისე, როგორც სურთ და ამ დროს არ იდგნენ ძალადობისა და შევიწროების რისკის წინაშე. სექსუალურ შევიწროებას გამართლება არ აქვს. უფრო მეტიც, კვლევები გვიჩვენებს, რომ სექსუალურ შევიწროებას იშვიათად თუ აქვს რაიმე საერთო ნამდვილ სექსუალურ ინტერესთან. ამასთან, სექსუალური შევიწროების მსხვერპლები განსხვავდებიან გარეგნობით, ჩაცმულობით, ასაკითა და ქცევით. საკუთარ ქმედებაზე პასუხისმგებლობა შევიწროების ჩამდენს ეკისრება.

მითი 5 - სექსუალური შევიწროების მსხვერპლები მხოლოდ ქალები არიან.

ფაქტი: სექსუალური შევიწროების მსხვერპლები კაცებიც შეიძლება გახდნენ.

მითი 6 - სექსუალურ შევიწროებას ადგილი აქვს მხოლოდ სხვადასხვა სქესის ადამიანებს შორის.

ფაქტი: სექსუალური შევიწროება ერთი სქესის ადამიანებს შორისაც ხდება. კვლევები აჩვენებს, რომ კაცების მიერ სხვა კაცების სექსუალური შევიწროების შემთხვევათა დიდი უმრავლესობა ჰომოფობიური ხასიათისაა. ეს ის შემთხვევებია, როდესაც მსხვერპლი ჰომოსექსუალი ან ჰომოსექსუალად მიჩნეული კაცი იყო, ან როდესაც შევიწროების ჩამდენი ფიქრობდა, რომ მსხვერპლი სტერეოტიპულ „ქალურ თვისებებს“ ამჟღავნებდა.

წყარო:
www.ombudsman.ge/res/docs/2021031110082436854.pdf?fbclid=IwAR0y6QXUxt1qeOAe42WMBqSU0UThFf-up3hRl4A0o8ems4tiDTNcVl8-Pj4